

### დანართი 3.7.3.

#### ცხოველთა სახმელეთო ტრანსპორტირების მმართველი პრინციპები

**პრეამბულა:** ქვემოთ მოცემული მმართველი პრინციპები ეხება მოშინაურებულ ცხოველებს: მსხვილფეხა საქონელს, ხარს, აქლემს, თხას, ცხვარს, ფრინველსა და ცხენს. იგი გაერკეცულწილად შეეხება ზოგიერთ სხვა ცხოველსაც (მაგ. ირემს, აქლემისებრთა ოჯახს და უხერხემლო ფრინველს). გარეულ, ველურ და ნაწილობრივ მოშინაურებულ ცხოველებს, რომელებიც საჭიროებენ განსხვავებულ პირობებს.

##### სტატია 3.7.3.1.

მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ცხოველთა მოგზაურობისას დახარჯული დრო.

##### სტატია 3.7.3.2.

###### ვალდებულებები

როდესაც გადაწყვდება ცხოველთა სახმელეთო ტრანსპორტირება, მაშინათვე მნიშვნელოვან საკითხები დაგება მათი კეთილდღეობის საკითხი მოგზაურობისას და ცალკეულ პირთა გალდებულებების ერთობლივი პასუხისმგებლობა ცხოველთა კეთილდღეობაზე, რომელიც დეტალურადაა განხილული ქვემოთ მოცემულ სტატიაში.

თითოეული პირის ვალდებულებები განიზაღვრება შემდეგით:

1. ცხოველთა მეპარტონეები ან მენეჯერები არიან ცხოველთა ჯანმრთელობასა და მოგზაურობისთვის აუცილებელ ცხოველთა სრულ კეთილდღეობაზე. ასევე პასუხისმგებელი არიან საჭირო ვეტერინარულ მომსახურეობაზე ან სხვა სახის სერთიფიცირებაზე, და მოგზაურობისას თუნდაც ერთი კომპეტენტური ცხოველთა მომთვანილებლის არსებობაზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სწრაფი ქმედებების გატარებაზე. ზემოაღნიშნული პირები ასევე პასუხისმგებელი არიან მოგზაურობისას ცხოველების შესაფერისი მოწყობილობებით უზრუნველყოფასა და ვეტერინარულ მომსახურებაზე. აღნიშნული ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს მიუხედავად იმისა სუბკონტრაქტირებულია თუ არა სამსახურეობრივი მოვალეობები ტრანსპორტირებისას მეორე მხარის მიერ.
2. ბიზნეს აგენტს ან მყოდველს/გამყოდველს მეპატრონას ერთად ეკისრებათ საერთო პასუხისმგებლობა იმ ცხოველთა გადარჩევის საკითხში, ვარგიასია თუ არა იგი ტრანსპორტირებისთვის. მათ ბაზრის მფლობელებთან და მომსახურების მენეჯერებთან ერთად, მოგზაურობის დაწყებისას და დასრულებისას, გააჩნიათ ერთობლივი პასუხისმგებლობა შესაფერისი მოწყობილობების მონტაჟზე, რომელიც აუცილებელია ცხოველთა თავმოყრისთვის, ჩატვირთვისთვის,

გადმოტვირთვისთვის და ცხოველთა საცავებისათვის, ასევე საგანგებო სიტუაციებისა და მოგზაურობის პერიოდში გაჩერებებისას ცხოველთა მოსახურებელი აღვილებისათვის.

3. ცხოველთა მომთვინიერებელი პასუხიმგებელია ცხოველების პუმანურ მოპყრობასა და ზრუნვაზე, განსაკუთრებით ჩატვირთვის და გადმოტვირთვისა და მგზავრობის დროს. დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად მათ უნდა პქონდეთ სწრაფი მოქმედების (რეაგირების) განხორციელების უფლება. ცხოველთა მომთვინიერებელის არ ყოლის შემთხვევასი მისი ვალდებულება ეკისრება საქონლის გამრეკავს.

4. სატრანსპორტო კომპანიები, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები და მძღოლები პასუხისმგებელნი არიან მოგზარობის დაგეგმვაზე, რადაგან ამ პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას ცხოველთა მოვლა:

ა. სატრანსპორტო კომპანიები და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები პასუხისმგებელნი არიან შესაფერისი ტრანსპორტის არჩევაზე, ასევე ცხოველთა მოვლასა და ჩართვირთვაზე პასუხისმგებელი პირების აყვანის უზრუნველყოფაზე;

ბ. სატრანსპორტო კომპანიები და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები პასუხისმგებელნი არიან საგანგებო მდგომარობისისას შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და ტრანსპორტირებისას ცხოველთა სტრესის მინიმიზაციაზე.

გ. სატრანსპორტო კომპანიები და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები პასუხისმგებელნი არიან სამოგზაურო გეგმის შედგენაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ჩატვირთვის გეგმას, მოგზაურობის ხანგრძლივობასა და მოსახურებელი ადგილების მდებარეობას;

დ. მძღოლები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ მგზავრობისათვის ვარგისიანი ცხოველების ჩატვირთვაზე, ტრანსპორტიში სწორ ჩატვირთვასა და ინსპექტირებაზე მოგზაურობის პერიოდში, ასევე შესაბამისი ვალდებულებების აღებაზე პრობლემების წარმოქმნისას. თუ ცხოველის მდგომარეობა საეჭვოა, მაშინ მას უნდა ჩატვირთვის ვეტერინარული გამოკვლევა 3.7.3.6. სტატიის 3ა პუნქტის შესაბამისად.

5. მომსახურების მენეჯერი მოგზაურობის დაწყებისას და დასრულებისას, ასევე მოსახურებელი პუნქტებში პასუხისმგებელნი არიან შემდეგზე:

ა. უზრუნველყონ ჩატვირთვისთვის და გადმოტვირთვისთვის საჭირო შესაბამისი ნაგებობები და ცხოველთა უსაფრთხო თავშესაფარი, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება წყლისა და საკვების მიწოდება შემდგომ ტრანსპორტირებამდე, გაყიდვამდე ან ან სხვა სახის გამოყენებამდე (გამრავლებისა და მოკვლის გათვალისწინებით);

ბ. ცხოველთა მომთვინიერებელით უზრუნველყოფა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ცხოველთა სტრესს და დაზიანებას მათი ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და განთავსებისას.

გ. დაავადებების გავრცელების საშუალებების მინიმიზირება;

დ. მოთხოვნის შემთხვევაში წყლისა და საკვების მიწოდებისათვის საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ე. საგანგებო მდგომარეობაში საჭირო მომსახურების გაწევა;

- ვ. გადმოტვირთვის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების გარეცხვა  
და დეზინფიქცირება;
- ზ. საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური პირების მიერ  
ცხოველთა პუმანური მოკვლა;
- თ. მოსვენების საჭირო დროით უზრუნველყოფა და  
მოგზაურობისას გაჩერებების მინიმუმამდე დაყვანა.
6. კომპეტენტური ორგანოების პასუხისმგებლობაში შედის შემდეგი:
- ა. ცხოველთა კეთილდღეობის მინიმალური სტანდარტების შექმნა,  
რომელიც უნდა შეიცავდეს ცხოველთა ინსპექტირების  
მოთხოვნებს მგავრობამდე და მგზავრობის შემდეგ,  
„მგზავრობისთვის ვარგისიანობის“ განსაზღვრასა და შესაბამისი  
სერთიფიცირებისა და აღრიცხვისანობის წარმოებას;
- ბ. ცხოველთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო მომსახურების  
სტანდარტების დადგენა, კონტრინულები და სატრანსპორტო  
საშუალებები:
- გ. მძღოლების, ცხოველთა მომთვინიერებლებისა და მენეჯერების  
კომპეტენციის სტანდარტების დადგენა;
- დ. მძღოლების, ცხოველთა მომთვინიერებლებისა და  
მენეჯერებისათვის შესაბამისი განათლებისა მიცემა და  
ტრენირება;
- ე. სტანდარტების დანერგვა, რომელიც გულისმობს სხვა  
ორგანიზაციებთან აკრედიტაციასა და ურთიერთქმედება;
- ვ. ჯანმრთელობისა და ცხოველთა კეთილდღეობის სხვა  
ასპექტების სტანდარტების ეფექტურობის მონიტორინგი და  
შეფასება;
- ზ. ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების მონიტორინგი და  
შეფასება;
- თ. საზღვარზე ცხოველების ტვირთის სწრაფი გადაზიდვა.
7. ყველა პირს, ვერეტინარის ჩათვლით, რომელიც ცხოველთა  
ტრანსპორტირებითად დაკავებული, გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი  
ტრეინინგი, იყოს კომპეტენტური და აკმაყოფილებდეს თავის  
ვალდებულებებს.
8. კომპეტენტურმა პირმა უნდა გაუგზავნოს მოხსენება კომპეტენტურ  
ორგანოს მოგზაურობისას წარმოქმნილი ცხოველთა კეთილდღეობის  
პროცედურებზე.

### სტატია 3.7.3.3.

#### კომპეტენცია

1. ყველა პირი, რომელიც პასუხისმგებელია ცხოველთა  
კეთილდღეობაზე მოგზაურობის პერიოდში, უნდა იყოს კომპეტენტური  
3.7.3.2. სტატიაში ჩამოთვლილი ვალდებულებების შესაბამისად.  
კომპეტენტურობის მიიღება შესაძლებელია ფორმალური  
ტრეინინგებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.
2. ცხოველთა მომთვინიერებლის კომპეტენციის დამადასტურებელია  
კომპეტენტური ორგანოს ან კომპეტენტური ორგანოს მიერ  
აკრედიტებული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მიერ გაცემული  
სერტიფიკატი. თუ ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება  
საერთაშორისო დონეზე, მაშინ სერთიფიკატი შედგენილი უნდა იყოს

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ოფიციალური ქნებზე.

3. ცხოველთა მომთვიურებლის კომპეტენტურობა უნდა განისაზღვროს შემდეგი ასპექტების მინიმალური ცოდნით:

- ა. მოგზაურობის გაგებმვა, რომელიც შეიცავს ადგილის შესაძლებლობას და საკვებს, წყალსა და საგეტილაციო მოთხოვნებს;
- ბ. ცხოველებზე პასუხისმგებლობას მოგზაურობის პერიოდში;
- გ. მეოვალყურეობისა და მომსახურების რესურსებს;
- დ. ცხოველთა ქცევა, დაავადების ძირითადი ნიშნები და ცხოველთა სუსტი კეთილდღეობა, როგორიცაა სტრესი, ტკივილი და დაღლილობა, ასევე მათი შემსუბუქება;
- ე. მგავრობისათვის ვარგისინობის შეფასება;
- ვ. შესაბამისი ორგანოები, მიღებული სატრანსპორტო ინსტრუქციები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- ზ. ძირითადი დაავადებებისაგან დამცავი პროცედურები, რომელიც მოიცავს დასუფთავებასა და დეზინფეციას;
- თ. მართვის შესაბამის მეთოდებს;
- ი. ცხოველთა ინსპექტირების მეთოდები, სიტუაციის მართვა მოგზაურობისას წარმოქმილი გაუთვალისწინებელი შემთხევებისა, როგორიცაა მეტეოროლოგიური პირობები და საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნისას.
- კ. ჯიშებისა და ასაკის მიხედვით ცხოველების მიმართ შესაბამისი მოპყრობა და ზრუნვა, კვების, წყლისა და ინსპექტირების ჩათვლით.
- ლ. სხვადასხვა სახის აღრიცხვიანობის გატარება მოგზაურობისას.

### 3.7.3.4. სტატია

#### მოგზაურობის გაგებმვა

##### 1. ძირითადი განხილვა

- ა. ადეკვატური დაგებმვა არის მოგზაურობის პერიოდში ცხოველთა კეთილდღეობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.
- ბ. მოგზაურობის დაწყებამდე გეგმა შედგენილი უნდა იყოს შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:
  - I ცხოველების მომგადება მოგზაურობისთვის;
  - II საგზაო ან სარკინოგზო ტრანსპორტის არჩევა;
  - III ბუნებრივი გარემოებები და მოგზაურობის ხანგრძლივობა;
  - IV სატრანსპორტო საშუალებების კონტაინერების დიზაინი და მიმდინარე რემონტი;
  - V აუცილებელი დოკუმენტაცია;
  - VI ადგილის შესაძლებლობას:
  - VII მოსვენება, წყალი და საკვები;
  - VIII ცხოველებთა მწერივის დაცვა;
  - IX დაავადების კონტროლი; და
  - X საგანგებო მდგომარეობისას პროცედურების გატარების პასუხისმგებლობა.

გ. მძღოლებთან დაკავშირებული ინსტრუქციები (მაგ. ტარების მაქსიმალური პერიოდი) ჰარმიზირებული უნდა იყოს მოგზაურობის მაქსიმალურ სატრანსპორტო ინტერვალთან.

## 2. ცხოველების მოგზაურობისთვის მომზადება

ა. როდესაც ცხოველები საჭიროებენ არასწანდარტულ დიეტას ან ტრანსპორტირებისას უნდა შესთავაზონ წყლის მოწოდების ახალი მეთოდით, მაშინ წინასწარი უნდა იყოს დაგეგმილი ადაპტაციის შესაბამისი პერიოდი. ღორებისა და მისი მსგავსი ცხოველების შემთხვევაში, რომლებიც მეტად მგრძნობიარები არიან მგზავრობისას წარმოქმნილი რხევების მიმართ და უფრო მეტად ახდენენ შარდისა და ფეკალური მასების გამოყოფას, სასურველია შევამციროთ მათთვის საკვების მიწოდები პერიოდი ტრანსპორტში ჩატვირთვაშვილი.

ბ. ცხოველები, რომლებიც მეტად არიან მიჩვეული ადამიანებთან კონტაქტს და მათზე ზრუნვას მეტად გაუჭირდებათ ჩატვირთვა და ტრანსპორტირება. მათზე მეტად უნდა იზრუნონ რომ შეუმცირონ შიში და უფრო გამოიჩინონ მეტ სიახლოვე.

გ. ტრანსპორტირებისას არ უნდა იყოს გამოყენებული ცხოველის ქცევაზე მოქმედი შემადგენლობის მქონე პრეპარატები (მაგ. ტრანკვილიზატორები). ასეთი შემადგენელობის მქონე პრეპარატების მიცემა შესაძლებელია ინდივიადუალურად, დაავადების არსებობის შემთხვევაში და იგი უნდა განახორციელოს ვარეტინარმა ან სხვა პირმა რომელსაც, პრეპარატის მოხმარების ინსტრუქცია მიღებული აქვს ვეტერინარისგან.

## 3. გარემო პირობები და მოგზაურობის ხანგრძლივობა

მოგზაურობის ხარგრძლივობა უნდა განისაზღვროს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა. ტრანსპორტირებისას შექმნილი სტრესის მიმართ გამძლეობა (ძალიან პატარა ან დიდი ასაკის, მეწველი ან მაკე);

ბ. ცხოველების ტრანსპორტირების წინა გამოცდილება;

გ. შესაძლო დაღლილობის შემოტევა;

დ. განსაკუთრებული ყურადღების საჭიროება;

ე. საკვებისა და წყლის საჭიროება;

ვ. დაშავებისა და დაავადებისადმი მეტი მგრძნობელობა;

ზ. აფვილის შესაძლებლობა, სატრანსპორტო საშუალების დიზაინი, საგზაო პირობები და მართვის ხარისხი;

თ. მეტეოროლოგიური პირობები;

## 4. სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერების დიზაინი და გამოყენება

ა. მგაზრობისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერების დიზაინი და კონსტრუქცია ცხოველის ჯიშის, ზომისა და წონის შესაბამისი უნდა იყოს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველთა დაშავების თავიდან აცილებას, ამიტომაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს გლუკი ზედაპირი, ბასრი შვერილების გარეშე. მძღოლისა და ცხოველთა მომთვანიერებლების ვალდებულებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველთა დაზიანებების თავიდან აცილებას.

ბ. სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები აგებული უნდა იყოს სპეციალური მოწყობილობებით, რომელიც დაიცავს მეტეოროლოგიური პირობებისაგან და მინიმუმამდე დაიყვანს ცხოველების გაქცევის შესაძლებლობას.

გ. ტრანსპორტირების პერიოდში დაავადებების გავრცელების მინიმიზაციისათვის სატრანსპორტო საშუალებებსა და კონტეინერებში შემუშავებული უნდა იყოს დასუფთავებისა და დეზინფექციის სისტემა, ასევე მოგზაურობისას ფერალური მასების შეჩერების სისტემა.

დ. სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები უნდა იმყოფებოდეს კარგ ტექნიკურ და სტრუქტურულ პირობებში.

ე. სატრანსპორტო საშუალებებსა და კონტეინერებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცვალებადი სავენტილაციო სისტემები ამინდის შესაბამისად და ტრანსპორტირებული ცხოველებისათვის საჭირო თერმო-რეგულატორი; სტაციონარული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში სავენტილაციო სისტემა (ბუნებრივი ან მექანიკური) უნდა იყოს ეფექტური.

ვ. სატრანსპორტო საშუალება ისე უნდა იყოს აგებული, რომ ფერალური მასები დაბლა არ ატენიანებდეს ცხოველებს და არ ეხებოდეს მათ საკვებსა და წყალს.

ზ. როდესაც სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა ხორციელდება პარომის გემბანით, მიღებული უნდა იყოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

თ. თუ წყლისა და საკვების მიწოდების სისტემა მოძრავია, მაშინ სატრანსპორტში უნდა არსებობდეს მათი გამოყენების სპეციალური საშუალებები.

ი. საჭიროების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების იატაკზე უნდა დამონდაჟდეს მოსახერხებელი მოსახვენებელი საშუალება და შესაბამისად ფერალური მასების გამწოვი, უნდა ავარიდოთ ცხოველებს (განსაკუთრებით მოზარდი) მცურავი ზედაპირის მქონე იატაკი, დავიცვათ ისინი დაცურებისა და არასასურველი მეტეოროლოგიური პირობებისაგან.

5. სახმელეთო საშუალებით (საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტი) და საზღვაო ტრანსპორტით ან კონტეინერით ტრანსპორტორების განსაკუთრებული პირობები

ა. სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები აღჭურვილი უნდა სასურველი რაოდენობის კარგი კონსტრუქციის მქონე სათავსოებით და საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში.

ბ. სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები საზღვაო მოგზაურობის დაწყებამდე საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული, რადგან საზღვაო ტრანსპორტის რხევისგან არ მოხდეს მისი გადაადგილება.

გ. საზღვაო ტრანსპორტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ტრანსპორტირებადი ცხოველების მოთხოვნის მიხედვით, შესაბამისი ვენტილაციონ, რომელიც შედგება სხვადასხვა კლიმატისაგან და ტერმო-რეგულატორით, განსაკუთებით როცა ცხოველების გადაზიდვა ხორციელდება დახურული ტიპის მეორადი სატრანსპორტო საშუალებით/კონტეინერით.

## 6. ადგილის დასაშველი ნორმა

ა. ჩატვირთვამდე უნდა განისაზღვროს ტრანსპორტირებადი ცხოველების რაოდენობა, რომელთა გადაყვანაც უნდა განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებით ან კონტეინერით ასევე წინასწარ უნდა დადგინდეს მათი ადგილმდებარება და გასაშვები ნორმა.

ბ. სატრანსპორტო საშუალებისა ან კონტეინერის საჭირო ფართობი განისაზღვრება იმის მიხედვით საჭიროებს თუ არა ესა თუ ის ცხოველი დაწოლას (მაგ. ღორი, აქლემი და ფრინველი) ან და საჭიროებს მდგომარე პოზიცია (ცხენი). ცხოველები უფრო ხშირად უნდა იწვენენ იმ შემთვევაში თუ პირველად ხორციელდება მათი გადაყვანა ან სატრანსპორტო საშუალების მართვა ხორციელდება ხშირი რხევებით ან აღინინება ძლიერი დამუძრუჭება.

გ. როცა ცხოველები წვებიან, ისინი უნდა იმყოფებოდნენ სასურველი პოზაში, რომელიც თერმორეგულაციის სასურველ საშუალებას მისცემს.

დ. როდესაც ცხოველები მდომარე პოზიციაში იმყოფებიან, მათ მდგომარეობის ბალანსის დასაცავად უნდა ჰქონდეთ საკმარისი ადგილი და შებამისი კლიმატი (სტატია X.X.X.).

ე. საჭირო სიმაღლე დამოკიდებულია ცხოველის ჯიშზე. თითოეულმა ცხოველმა უნდა მიიღოს მისთვის სასურველი მდგომარეობა (ჩატვირთვის და გადამტკითვის ჩათვლით), ისე რომ არ ეხებოდეს სატრანსპორტო საშუალების ჭერს.

ვ. თითოეული ცხოველისთვის დასაშვები ადგილის ნორმის გამოთვლა უნდა განხორციელდეს X.X.X. დანართში მოცემული მონაცემებით ან მისი არ ქონის შემთხვევაში, მსგავსი ადგილობრივი ან საერთაშორისო დოკუმენტის შესაბამისად. სატრანსპორტო საშუალებებში ცხოველთა სათავსოების რაოდენობა და ზომა განსხვავებული უნდა იყოს იმის მიხედვით თუ გათვლილია ცხოველების ჯგუფზე, თუმცა ჯგუფიდან გამომდინარე ერიდებიან ძალიან დიდი ზომის სათავსოების გამოყენებას.

ზ. სხვა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადგილის დასაშვები ნორმის დადგენაზე, მოიცავს შემდეგს:

I სატრანსპორტო საშუალების/კონტეინერის დიზაინი;

II მოგზაურობის ხანგრძლივობა;

III სატრანსპორტო საშუალებაში საკვებისა და წყლის საჭიროება;

IV გზების ხარისხი;

V მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობები;

## 7. მოსვენება, წყალი და საკვები

ა. შესაფერისი საკვებითა და წყლით უზრუნველყოფის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შემდეგის გათვალისწინებით: ცხოველის ჯიში, ასაკი, ცხოველის პირობების, მოგზაურობის ხანგრძლივობა, მეტეოროლოგიური პირობები და სხვ.

ბ. ცხოველთა მოსვენების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს მოსასვენებელი ადგილებისა და მოგზაურობის პერიოდში მოსვენების ინტერვალების გათვალისწინებით. შესაფერისი მოსასვენებელი ადგილები დადგენილი უნდა იყოს ტრანსპორტის ტიპის, ცხოველის ჯიშისა და ასაკის, მეტეოროლოგიური

პირობებისა და გადმოტვირთვის აღგლის გათვალისწინებით. ასევე დაგეგმილი უნდა იყოს მოსახვენებელ გაცერებებზე წყლისა და საკვების მიწოდების შესაძლებლობები.

#### 8. ცხოველებზე მეთვალყურეობის შესაძლებლობა მოგზაურობის პერიოდში

ა. ცხოველები უნდა იყონენ განთავსებული ისე, რომ ადგილად მოხდეს მათზე მეთვალყურეობა მოგზაურობის პერიოდში, მათი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ბ. თუ ცხოველები მოთავსებული არიან უუთებში ან მრავალრიგიან სატრანსპორტო საშუალებების, რომელშიც არ არის თავისუფალი შეღწევის პირობები, მაგ როდესაც უუთის თავსახური ძალიან დაბალია (1.3 მ.ზე დაბალი), მაშინ შეუძლებელია ცხოველების ადეკვატური დათვალიერება და სერიოზული დაზიანების ან დაავადების დადგნა. ამ გარემოების პირობებში სასურველია ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება ჯიშის გამოვლენილი პრობლემის ხარისხის მიხედვითა და ტრანსპორტის პირობების მიხედვით.

#### 9. დაავადების კონტროლი

თუ ცხოველების გადამზიდავ ტრანსპორტში ხშირად აღინიშნება ინფექციური დაავადების გავრცელების ფაქტორები, მაშინ მოგზაურობის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

ა. მინიმიზირებული უნდა იყოს სხვადასხვა წარმოშობის ცხოველების დაკომპლექტება ერთ ჯგუფად;

ბ. თავიდან უნდა იქნას აცილებული მოსახვენებელ აღვილებაში სხვადასხვა წარმოშობის ცხოველების ურთიერთკონტაქტი;

გ. თუ შესაძლებელია, მოხდეს ცხოველის ვაქციანაცია იმ დაავადების წინააღმდეგ, რისი საშიშროების წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ ისინი დანიშნულების ადგილზე ჩაყვანისას.

დ. პრეპარატების პროფილაქტიკური ან ტერაპიული მიზნით გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უმპორტის განმხორციელებელი ქვეყნის კუტერინარული ორგანოს მიერ და მხოლოდ ვერეტინარის ხელმძღვანელობით ან სხვა პირის მიერ, რომელსაც პრეპარატის მოხმარების ინსტრუქცია მიღებული აქვს ვეტერინარისგან.

#### 10. საგანგებო მდგომარეობის საპასუხისმგებლო პროცედურები

უნდა არსებობდეს საგანგებო მართვის გეგემა, სადაც აღნიშნული იქნება მოგზაურობის პერიოდში გამოვლენილი ის არასასურველი მდგომარეობები, რომელიც შეიძლება შეიქმნას მგზავრობის პერიოდში, თითოეული შემთხვევისა და მოქმედების მართვის პროცედურები, რომელიც გამოყენებული იქნება საგანგებო მდგომარეობის დროს. თითოეული მნიშვნელოვანი შემთხვევისთვის გეგმა უნდა შეიცავდეს სამოქმედო დოკუმენტებსა და თითოეული მონაწილე მხარის ვალდებულებებს, რომელშიც შევა კავშირის სახეები და აღრიცხვიანობა.

#### 11. სხვა მიმოხილვა

ა. ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები დიდ საშიშროებას უქმის ტრანსპორტირებად ცხოველებს, ამიტომაც, რისკის

შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს შესაბამისი დიზაინის. განსაკუთრებული ზომები უნდა იქნას მიღებული იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც არ არიან აკლიმატიზირებულები ან ვერ ეგუებიან ცხელ ან ცივ პირობებს. ექსრტემალურ პირობებში, სიცხის ან სიცივის შემთხვევაში, საერთოად არ უნდა განხორციელდეს ცხოველების ტრანსპორტირება.

ბ. ზოგიერთ შემთხვევაში, დამით ტრანსპორტირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს თერმული წნევის შემცირება ან სხვა შიდა ზემოქმედების არასასურველი შედეგი.

### სტატია 3.7.3.5.

#### დოკუმენტაცია

1. არ უნდა განხორციელდეს ცხოველების ტრანსპორტში ჩატვირთვა სანამ აუცილებელი დოკუმენტაცია არ იქნება დასრულებული.

2. საქონლის სატრანსპორტო ზედდებული უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. სამოგზაურო გეგმა (საგანგებო მართვის გეგმის ჩათვლით);

ბ. თარიღი, დრო, ჩატვირთვის და გადმოთვირთვის ადგილი;

გ. საჭიროების შემთხვევაში ვეტერინარული სერტიფიკატი;

დ. მდგოლის კომპეტენტურობა;

ე. ტრანსპორტირებადი ცხოველების იდენტიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში კი მათი წარმომავლობის დადგენა;

ვ. „რისკის“ წინაშე მდგარი ცხოველების დეტალები (სტატია 3.7.3.6.);

ზ. მოგზაურობის დროს მოსვენების პერიოდის, წყლისა და საკვების მიწოდების წინასწარი დოკუმენტაცია;

თ. თითოეული ტვირთის შენახვის სიმჰიდროულურობა:

ი. ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება ინსპექტირებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ასევე ჩანაწერების წარმოება დაავადებების და სიკვდილიანობის, მეტეოროლოგიური პირობების, მოსვენების, მგზავრობის დროისა და ხანდრძლივობის საკვებისა და წყლის მიწოდების, მედიკამეტებით უზრუნველყოფისა და ტექნიკური დეფექტების შესახებ.

3. როდესაც ცხოველთა თანმხელები ტვირთის ზედდებული საჭიროებს ვეტერინარულ სერტიფიკატს, იგი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

ა. ცხოველთა ვარგისიანობა მგზავრობისთვის;

ბ. ცხოველთა იდენტიფიკაცია (აღწერა, რაოდენობა და ა.შ.);

გ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, გამოკვლევის, ვაქცინაციის და სხვა გატარებულის დონისძიებების ჩატვლით;

დ. საჭიროების შემთხვევაში გატარებული დეზინფექციის დეტალები.

სერტიფიცირების დროს, ვეტერინარმა ცხოველთა მომთვინიერებულს, განსაკუთრებული მოგზაურობის დროს უნდა აუწყოს ცხოველთა ვარგისიანობაზე მომქმედი ფაქტორების შესახებ.

### სტატია 3.7.3.6.

#### წინა სამოგზაურო პერიოდი

##### 1. ძირითადი განხილვა

ა. წინა სამოგზაურო მოსვენება საჭიროა იმ შემთხვევაში თუ თავმოყრის პერიოდში გაუარესდება ცხოველთა კეთილდღეობა, ფიზიკური ან სოციალური გარემო.

ბ. წინა სამოგზაურო თავმოყრის ადგილი ისე უნდა იყოს აგებული, რომ უზრუნველყოფდეს შემდეგს:

I ცხოველების უსაფრთხოება;

II რისკისაგან დაცული გარემო, გამტაცებლებისა და დაავადებების გათვალისწინებით;

III ცხოველების დაცვა მკაცრ მეტეოლოგიურ პირობებში მოხვედრისგან;

IV მხარდაჭერის გაწევა სოციალური ჯგუფებისათვის, და

V მოსვენებით, წყლითა და საკვებით უზრუნველყოფა.

გ. განხილვა უნდა მიმდინარეობდეს ცხოველთა წინა ტრანსპორტირების გამოცდილების, ტრეინინგისა და შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, რადგან თავიდან ავაცილოთ ცხოველებს შიში და სტრესი.

დ. წყლისა და საკვების მიწოდება უნდა მოხდეს მოგზაურობის წინ თუ მოგზაურობის პერიოდში ცხოველებისათვის წყლისა და საკვებს მიწოდების ინტერვალი აღემატება განსაზღვრულ დროს. რეკომენდაცია კონკრეტულ ჯიშებზე დეტალურად განხილულია 3.7.3.11 სტატიაში.

ე. როდესაც ცხოველები საჭიროებენ სპეციალური დიეტა ან უზრუნველყოფილნი არიან წყლისა და საკვების მიწოდების ახალი მეთოდით, მაშინ წინასწარ უნდა დაიგეგმოს მათი ადაპტაცია შესაბამისი პერიოდი.

ვ. ყოველი მოგზაურობის წინ სრულად უნდა გასუფთავდეს სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ცხოველეთა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნით უნდა მოხდეს მათი დასუთავება კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული მეთოდების გამოყენებით. როდესაც მოგზაურობისას აუცილებელია დასუფთავება, მაშინ ეს პროცესი უნდა გატარდეს ცხოველთა მინიმალური სტრესირებით.

ზ. როდესაც ცხოველთა მომთვინიერებული დარწმუნებულია რომ ცხოველებს შორის დიდია დაავადებების გავრცელების რისკი რაც საფრთხეს შეუქმნის ცხოველების მგზავრობისთვის ვარგისიანობას, მაშინ აღნიშნული ცხოველი უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ.

##### 2. თავსებადი ჯგუფების შერჩევა

ცხოველთა კეთილდღეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად თავსებადი ჯგუფების შერჩევა უნდა მოხდეს ტრანსპორტირებამდე. ცხოველთა დაჯგუფებისას უნდა ვიხელმდგანელოდ შემდგომი რეკომენდაციებით:

ა. ცხოველთა ჩასხდომა უნდა მოხდეს ჯგუფურად; მჭიდრო სოციალური კაგშირის მქონე ცხოველების ტრანსპორტირება ერთად უნდა განხორციელდეს, მაგ. როგორიცაა ოთხფეხა მდედრი ძუძუმწოვრები და მათი ახალშობილები ;

ბ. შესაძლებელია ცხოველთა მსგავსი ჯიშების შერევა თუ ისინი არ გამოირჩევიან აგრესით ; აგრესიული ინდივიდები განცალკევებული უნდა იყვნენ გარკვეული ჯიშებისგან (რეკონედაციები კონკრეტულ ჯიშებზე დეტალურად წარმოდგენილი 3.7.3.11. სტატიაში), კეთილდღეობის გაუარესების თვალსაზრისით არ უნდა შევურიოთ სხვადასხვა ჯგუფის ცხოველები ერთმანეთს სანამ სოციალური სტრუქტურა არ იქნება ჩამოყალიბებული;

გ. ახლგაზრდა ან პატარა ცხოველები გაცალკევებული უნდა იყვნენ ასაკოვანი და დიდი ცხოველებისაგან, გარდა მეწველი ფურებისა და მათი ახალშობილებისა;

დ. არ შეიძლება რქოსანი და არარქოსანი ცხოველების ერთად დაჯგუფება თუ მათი თავსებადობა არ არის მიზანშეწონილი;

ე. სრ შეიძლება სხვადასხვა ჯიშის ცხოველების დაჯგუფება თუ მათი თავსებადობა არ არის მიზანშეწონილი;

### 3. მგზავრობისთვის ვარგისიანობა

ა. თითოეული ცხოველი უნდა შემოწმდეს ვეტერიანობის ან ცხოველთა მომთვინიერებლის მიერ, ვარგისიანი თუ არა იგი მოგზაურობისთვის. თუ ცხოველის მგზავრობისთვის ვარგიანობა საჭიროა, მაშინ ცხოველი უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ. ცხოველი, რომელიც არავარგისიანი მგავრობისთვის არ უნდა მოთავსდეს სატრანსპორტო საშუალებაში, სანამ არ ჩაუტარდება სათანადო ვეტერინარული ღონისძიება.

ბ. თუ დაფიქსირდება ცხოველის მგზავრობისთვის არავარგიანობის შემთხვევა მაშინ მეპატრონებ ამ აგენტმა მათ მოსავლელად უნდა გაატაროს ჰუმანური და ეფექტური ღონისძიებები.

გ. მგზავრობისთვის არავარგისან ჩაითვლება ცხოველი, რომელსაც ადენიშნება შემდგები:

I ტკივილი, დაზიანება, სისუსტე, კოჭლობა ან დაღლა ;

II არ შეუძლიათ ფეხზე დგომა დახმარების გარეშე ან წონის გამო;

III აღენიშნებათ სიბრმავე ორივე თვალში;

IV შეუძლებელია მათი გადაადგილება ზედმეტი ტკივილის მიყენების გარეშე;

V ჭიპლარ მოუშუშებელი ახალშობილები

VI მაკე ფურები, რომელთაც ხანმოკლე პერიოდი აქვთ (10%) მშობიარებობამდე დარჩენილი, რაც შესაძლებელია მოხდეს დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას;

VII ახალშობილების გარეშე მგზავრი ფურები, რომლებმაც იმშობიარეს 48 საათის წინ;

VIII ცხოველები, რომელთა კეთილდღეობაც შესაძლებელია გაუარესდეს მოსალოდნელი მეტეოლოგიური პირობებით.

დ. ტრანსპორტირებისას შესაძლებელია რისკის შემცირება, თუ ავირჩევთ ცხოველებს, რომლებიც უველაზე კარგად ეგუებიან მგზავრობის პირობებს და ადვილად აკლიმატიზირდებიან არიან მოსალოდნელ მეტეოროლოგიურ პირობებთან.

ქ. “რისკის” ქვეშ მყოფი ცხოველები, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ პირობებსა (როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებების დიზაინი და მგზავრობის ხანგრძლივობა) და დამატებით ყურადღებას ტრანსპორტირების პერიოდში, მოიცავს შემდგომს:

- I ფართე ან მსუქანი ინდივიდუები;
- II ძალიან ახალგაზრდა ან ასაკოვანი ცხოველები;
- III ადვილად აღგზნებადი ან აგრესიული ცხოველები;
- IV ცხოველები, რომელთაც მცირეოდები კავშირი მაინც აქვთ ადამიანებთან;
- V ცხოველები, რომლებიც გამოირჩევიან ავადმყოფური მოძრაობისკენ;
- VI ფურები გვიანი მშობიარობით ან მძიმე წველადობით;
- VII ცხოველები, რომელთაც წინა ტრანსპორტირებების პერიოდში აღენიშნებოდათ სტრესული ან პათოგენური მდგომარეობა.

#### 4. მოთხოვნები განსაკუთრებული ჯიშების

სატრანსპორტო პროცედურები უნდა იძლეოდნენ ჯიშების ქცევის სახესხვაობის გათვალისწინების შესაძლებლობას. საფრენი ზონის, სოცილური ურთიერთქმედებისა და სხვა ქცევების ცვლილებები, რომლებიც თავს იჩნეს, როგორც ცხოველებს შორის ასევე მათ გარეთ. ერთი ჯიშესთვის ეფექტურად ჩატარებულმა პროცედურებმა და მოპყრობამ შესაძლებელია სხვა ჯიშზე არაეფექტური და საზიანო შედეგი მოიტანოს.

განსაკუთრებული ჯიშებისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები დეტალურადაა განხილული 3.7.3.11 სტატიაში.

##### სტატია 3.7.3.7.

###### ჩატვირთვა

###### 1. კომპეტენტური ზედამხედველობა

ა. ჩატვირთვა უნდა დაიგეგმოს დიდი სიფრთხილით, რადგანაც დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ გამოიწვიოს ცხოველთა კეთილდღეობის გაუარესება.

ბ. ჩატვირთვას უნდა ზედამხედველობდეს ან ხელმძღვანელობდეს ცხოველთა მომთვინიერებული. ცხოველთა მომთვინიერებულმა უნდა უზრუნველყოს მშვიდი ჩატვირთვა ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის, თვალთვალისა ან ძალის გამოყენების გარეშე, ასევე გააკოტროლოს რომ არაკვალიფიციურმა თანაშემწებმა და მოწმეებმა არ მოახდინონ პროცესის შეყოვნება.

გ. კონტროლურები ისე უნდა ჩაიტვირთოს სატრანსპორტო საშუალებებში, რომ არ გამოიწვიოს ცხოველთა კეთილდღეობის გაუარესება.

###### 2. კეთილდღეობის პირობები

ა. ჩატვირთვისთვისას გასათვალისწინებელი კეთილდღეობის პირობები მოიცავს თავმოყრის აღგილს, ასასვლელსა და ჩასატვირთ ტრაქს, რომელიც ისე უნდა იყოს აგებული რომ უნდა ითვალისწინებდეს ცხოველებისთვის საჭირო მოთხოვნებს

შესაბამისი ზომების, დახრილობის, ზედაპირის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს ბასრი პროექტისა და მცურავი ზედაპირის მქონე. ბ. ჩატვირთვისთვისას გასათვალისწინებელია, რომ კეთილდღეობის ძირითადათი საშუალებები განათებული იყოს ისე რომ მომთვისიერებელს საშუალება ჰქონდეს ადვილად განახორციელოს ცხოველებზე ზედამხედველობა და შეუფერხებელი მოძრაობის საშუალებას იძლეოდეს. მომსახურების საშუალები უნდა უზრუნველყოფდნენ განათების თანაბარ დონეს გამანაწილებელ სათავსოებთან, უოლობებთან (გამთარი მილი), ჩასატვირთ ტრაპეზებთან, ხოლო კონტეინერებისა და სატრანსპორტო საშუალებების შიგნით განათების შედარებით მაღალ დონეს. განათების დაბალი დონე ხელსაყრელია ფრინველის ან სხვა ამ ტიპის ცხოველების დასაჭერად. შესაძლებელია არსებობდეს ხელოვნური განათების საჭიროება.

ბ. ჩატვირთვისა და მოგზაურობის დროს ვენტილაცია უნდა უზრუნველყოფდეს სუფთა ჰაერს, ასევე მძიმე ცხელი ჰაერის, ნეტის და მავნე ნივთიერებების (როგორიცაა ამიაკი და ნახშირის მონოქსიდი) გატანასა და ამიაკისა და ნახშირის მონოქსიდის აკუმულაციისაგან დაცვა. თბილი და ცხელი პირობებისას სავენტილაციო სისტემამ უნდა უზრუნველყოს თოთოვეული ცხოველისათვის შესაბამისი კონვექტიური გაგრილება. გამონაკლის შემთხვევებში, ადეკვატური ვენტილაცია მისაღწევია ადგილის გაფართოვების საფუძველზე.

### 3. ცხოველების გარეკა (გადევნა) და სხვა დამხმარე საშუალებები

უნდა განხორცილდეს შემდეგი პრინციპები:

ა. თუ ცხოველი მოთავსებულია პატარა ოთახში ან საერთოდ არ გააჩნია სამოძრაო ადგილი, არ შეიძლება მოვახდინოთ მათზე ფიზიკური ზეწოლა ან ვაუზულოთ მოძრაობა გასარეკი ან რაიმე სხვა დამხმარე საშუალებებით.

ბ. გამოსაყენებელი და დასაშვები საშუალებებია: მსუბუქი პანელი, დროშა, პლასტიკური ნიჩაბი, სახრე (გადაჭრილი ჯოხი მოკლე ტყავის სალტით ან აფრისინა (აფრის დასამზადებელი ტილო), პლასტიკური საგნები და მეტალის ჭდარუნა. მათი გამოყენება შესაძლებელია მიღებული მეთოდით და ცხოველების მიმართულების მისაცემად.

გ. ცხოველების ასამოძრავებლად არ შეიძლება შემდეგი საშუალებების გამოყენება: ტკივილის მიმუენებელი პროცედურები (დარტყმა, კუდის დაგრეხვა, ცხვირის დაქახვა, თვალებზე, ყურებზე ან სასაქესო ორგანოებზე ზემოქმედება), ან არასასიამოვნო გასარეკი ან სხვა საშუალებების გამოყენება (ბასრი ბოლოს მქონე რკინის ჯოხი, გრძელი მეტალის ჩინირი, ელექტრომავრთულით შემოღობვა ან მძიმე ტყავის სალტეები).

დ. ცხოველების ასამოძრავებლად უნდა აიკრძალოს ელექტრო შოკის გამოყენება ან საჭიროების შემთხვევაში მცირე დოზით გამოყენება. მისი გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს ბატარეების ჩართვით და უნდა მოხდეს მოზარდი დორებისა და საქონლის ტანის უკანა ნაწილზე, და არასოდეს მგრძნობიარე ადგილებზე, როგორიცაა თვალები, პირი, ყურები, ანოგენიტალურ ადგილები ან

მუცელი. ამ ინსტრუმენტების გამოყენება დაუშვებელია სხვა ცხოველებზე.

ე. დასაშვებია კარგად გაწვრთნილი ძაღლების გამოყენება, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ზოგიერთი ჯიშის ცხოველების ჩატვირთვას.

ვ. დაუშვებელია ცხოველების გადაგდება ან დაგდება, ლიფტინგი ან მოქაჩვა სხეულის ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა კუდი, თავი, რქები, ყურები, დაბოლოებები, მატყლი, ბეწვი ან ბუმბული. დასაშვებია პატარა ცხოველების ხელით აყვანა.

ზ. ცხოველების გაადგილების მიზნით შეძახილებმა ან ხმამაღალმა ყვირილმა მაგ. საყვირით შესაძლებელია გამოიწვიოს ცხოველების ნერვიულობა, შეჯგუბება ან დავარდნა.

### სტატია 3.7.3.8.

#### მოგზაურობა

##### 1. ძირითადი განხილვა

ა. მძღოლმა და მომთვინიერებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმონ ჩარტვითული საქონელი გამგზავრებამდე, რადგან დარწმუნდნენ, რომ ცხოველები საჭიროებისამებრ არიან განთავსებულნი. თითოეული ტვირთი ხელახლა უნდა იყოს შემოწმებული და დარეგულირებული მგზავრობის პერიოდში. მოგზაურობისას უნდა მოხდეს პერიოდული შემოწმება.

ბ. მძღოლებმა უნდა მიმართონ მართვის მსუბუქ და დაცულ მეთოდებს, მოულოდნელი მოხვევისა და დამუხრუჭების გარეშე, რომ არ მოხდეს ცხოველების უმართავი მოძრაობა.

##### 2. დამუხრუჭებისა ცხოველთა შეკავების მეთოდები

ა. ცხოველთა თავშეკავების მეთოდები უნდა იყოს სხვადასხვა თითოეული ჯიშისთვის და უნდა მოხდეს მათი ინდივიდუალური სწავლება.

ბ. რეკომენდაციები კონკრეტულ ჯიშებზე დეტალურად განმარტებულია 3.7.3.11. სტატიაში.

##### 3. კონტრინერისა და სატრანსპორტო საშუალების გარემოს რეგულირება

ა. ცხოველები მოგზაურობის პერიოდში დაცული უნდა იყვნენ ცხელი ან ცივი პირობებით გამოწვეული ზიანისგან. კონტრინერებსა და სატრანსპორტო სასუალებაში ცოხველებისათვის სასურველი გარემოს შესაქმნელად დამოუკიდებული ეფექტური სავანტილაციო პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს ცხელ, ცივ, ნოტიო და მშრალი პირობებს, თიმცა თითოეულ შემთხვევაში უგულველყოფილი უნდა იყოს მავნე აირის გამოყოფა. ძირითადი ტემპერატურისა და ტენიანობის პარამეტრები დეტალურად არის განხილული X.XX. დანართში.

ბ. ცხოველის გარემო პირობები ცხელ ამინდში დარეგულირებული უნდა იყოს ჰაერის ნაკადით, რომელიც გამოწვეული სატრანსპორტო საშუალების მოძრაობით. თბილ და ცხელ ამინში, მინიმიზირებული უნდა იყოს მოგზაურობის პერიოდში გაჩერებები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა მოვათავსოთ ჩრდილში, შესაბამისი ვენტილაციის გათვალისწინებით.

გ. დაცურებისა და დაბინძურების მინიმიზირება, ჯანმრთელი გარემოს შენარჩუნება, საჭიროების შემთხვევაში ფერალური მასების გატანა, დაავადების გავრცელების მინიმიზირება დარეგულირებული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის შესაბამისი კანონმდებლობით.

#### 4. ტკივილი, დაზიანება და ცხოველთა სიკვდილიანობა

ა. მდღოლმა ან მომთვისივერებელმა ცხოველთა ტკივილის, დაზიანების ან სიკვდილი აღმოჩენის შემთხვევაში უნდა იმოქმედონ საგანგებო მდგომარეობისათვის შედგენილი გეგმის მიხედვით.

ბ. შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ავადმყოფი, დაზიანებული ან მკვდარი ცხოველის განცალკევება.

გ. გადამზიდ საშუალებებს (პარომი) მოვზაურობის პერიოდში უნდა გააჩნდეთ ტკივილისა ან დაციანებისას გასაწევი დამხმარე საშუალებები.

დ. თუ არსებობს დაავადების გავრცელების საშიშროება, ტრანსპორტირებადი ცხოველების კონტაქტით ან ნარჩენებით მაშინ უნდა მოვახდინოთ საფერმო ცხოველების ურთიერთობის მინიმიზაცია.

ე. აუცილებლობის შემთხვევაში, მოვზაურობის პერიოდში მკვდარი ცხოველის დაგრანისას ყურადღება უნდა მივაქციოთ რომ ამ მოქმედებამ არ გამოიწვიოს რაიმე სახის დაავადების გავრცელება და უნდა ვიმოქმედოთ ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის შესაბამისი კანონმდებლობით.

ვ. როდესაც აუცილებელია ცხოველის უმტკივნეულო მოკვლა, მაშინ მდღოლმა ან ცხოველთა მომთვისივერებელმა უნდა უზრუნველყოს ამ დონისძიების დროული მოგვარება, ეს პროცედურა უნდა განხორციელდეს ვეტერინარის ან სხვა ცხოველთა უმტკივნეულო მოკვლის სპეციალისტმა. რეკომენდაციები ცხოველთა მოკვლაზე დაავადების კონტროლის მიზნით თითოეულ ჯიშზე დეტალურად აღწერილია 3.7.6. დანართში.

#### 5. წყლისა და საკვების მოწოდების მოთხოვნები

ა. თუ მოვზაურობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე აუცილებელია ცხოველებისათვის (შესაბამისი ჯიშისა და ასაკისა) წყლისა და საკვების მიწოდება, მაშინ სატრანსპორტო საშუალებაში უნდა არსებოდეს ყველა პირობა ამის უზრუნველსაყოფად. ცხოველებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი აღგილი, რომ თავისუფლად შესძლონ საკვებთან ან წყლის რესურსთან მისვლა.

ბ. რეკომენდაციები კონკრეტულ ჯიშზე დეტალურადაა განხილული 3.7.3.11. სტატიაში.

#### 6. მოსვენების პერიოდი და პირობები ჰიგიენის ჩათვლით

ა. მოვზაურობის განმავლობაში ტრანსპორტირებადი ცხოველებისათვის გამოყოფილი უნდა იყოს მოსვენების შესაბამისი ინტერვალი და მიწოდებული წყალი და საკვები, ორივე საშუალება უნდა განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალების შიგნით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მათი გადმოტვირთვა შესაფერის საშუალებებში.

ბ. ცხოველების მოსვენების მიზნით გადმოტვირთვისას გამოყენებული უნდა იქნას მარშრუტიზატორი (ბილიკი). ეს

საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული ჯიშისთვის საჭირო მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს წყალთან ან საკვებთან თავისუფალ მისვლას.

## 7. შემოწმება ტრანზიტის პერიოდში

ა. საგზაო ტრანსპორტით გადაზიდვისას ცხოველები უნდა შემოწმდნენ მოვალეობის დასრულებისთანავე ან როდესაც მძღოლი გააჩერებს მოსვენების აღგილზე (მაქსიმალური ინტერვალია 5 საათი). ცხოველები ასევე უნდა შემოწმდნენ საკვების მიღების შემდგომ და საწვავის შესავსებად გაჩერების შემგდომ გამგზავრებამდე.

ბ. სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვისას ცხოველები უნდა შემოწმდნენ გადეგმილ გაჩერებაზე, ყოველი 5 საათის შემდეგ ბოლო შემოწმებიდან. პასუხისმგებელმა მემანქანემ უნდა გააკონტროლოს ცხოველებით დატვირთული მატარებლის მოძრაობა და იმოქმედოს შესაბამისად გაჩერებების რაოდენობის შესამცირებად.

გ. გაჩერებების პერიოდში უნდა დავრწმუნდეთ, რომ ცხოველებს დადგენილი ნორმებით მიეწოდებათ წყალი და საკვები და დაკმაყოფილებულია მათი ფიზიკური პირობები.

### სტატია 3.7.3.9.

#### გადმოტვირთვა და მგზავრობის შემდგომი მოვლა

##### 1. მირითადი განხილვა

ა. ცხოველთა გადმოტვირთვისას მოთხოვნები და მოვლის პრინციპები დეტალურად არის მოცემული 3.7.3.7. სტატიაში, მაგრამ განხილვაში დამაჯერებლად უნდა იყოს გადმოცემული ცხოველთა დაღლა.

ბ. გადმოტვირთვას უნდა ზედამხედველობდეს და მართავდეს ცხოველთა მომთვინიერებელი, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება ცხოველთა ქცევასა და ფიზიკური მახასიათებლებზე გადმოტვირთვისას. ცხოველები სატრანსპორტო საშუალებიდან უნდა გადმოიტვირთოს რაც შეიძლება მაღე დანიშნულების ადგილებზე ჩაყვანიდან და უნდა მოთავსდენენ შესაბამის მომსახურების საშუალებებში, გადასდომა უნდა განხორციელდეს მშვიდად, ყოველგვარი ხმაურის, თვალთვალისა და ძალადობის გარეშე.

გ. თითოეულ ცხოველი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომსახურების სათანადო საშუალებით: შესაბამისი მოვლითა და კომფორტით, ადგილითა და ვენტილაციით, საკვებითა და წყლით, ასევე დაცული უნდა იყვნენ ექტრემალური მეტეოროლოგიური პირობებისაგან.

დ. ცხოველების სასაკლაოში გადაყვანის დეტალური მიმოხილვა იხილეთ სტატიაში 3.7.5. ცხოველთა მოკვლის შესახებ.

##### 2. ავადმყოფი ან დაზიანებული ცხოველები

ა. ცხოველებს დაავადების ან დაზიანების შემთხვევაში მოგზაურობის პერიოდში, უნდა აღმოეუჩინოს სათანადო მკურნალობა ან მოიკლან ჰუმანურად ( იხილეთ 3.7.6. დანართი ცხოველების მოკვლა დაავადების კონტროლის მოზნით). საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას

ვეტერინარის რჩევა ცხოველთა მოვლასა და მკურნალობაზე. იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ცხოველის გადაადგილება დაღლილობის, ავადმყოფობის ან დაზიანების გამო, მათ უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი მკურნალობის კურსი ან მოიკლა უმტკივნეულოდ სატრანსპორტო საშუალების ბორტზე, მათივე კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ბ. დანიშნულების ადგლზე მისვლისას ცხოველთა მომთხილიერებელი დარწმუნებელი უნდა იყოს, რომ ცხოველის დაზიანების ან დაავადების შემთხვევაში, ისინი ჩაბარებული იქნებიან შესაბამის პიროვნებაზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათსავე კეთილდღეობაზე.

გ. ოუ შეუძლებელია ცხოველის გადაადგილება დაღლილობის, დაავადების ან დაზიანების გამო, მაშინ მათი პუმანური გადმოტკირთვისთვის უნდა დამოვიყენოთ შესაბამისი მომსახურების საშუალებები და მოწყობილობები. ტანჯვის შემსუბუქების მიზნით ცხოველები უნდა გადმოიტკირთონ შესაბამისი მეთოდით. დაავადებული ან დაზიანებული ცხოველები გადმოტკირთვის შემდეგ უნდა მოთავსდნენ საგომში ან სხვა შესაბამის საშუალებებში.

დ. საჭიროების შემთხვევაში თითოეული დაავადებული ან დაზიანებული ცხოველი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვებითა და წყლით.

### 3. დაავადების რისკები

ცხოველების ტრანსპორტირებიდან და მათი სეგრეგაციის საჭიროებებიდან გამომდინარე დაავადების რისკების მართვისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ა. გაზრდილი კონტაქტი ცხოველებს შორის, მათ შორის სხვადასხვა წარმომავლობისა და დაავადების ისტორიის მქონე ჯიშებს შორის.

ბ. დიდი რაოდებით პათოგენების დაკარგვა და ინფექციებისადმი მიღრეკილების გაზრდა, რაც გამომდინარეობს სტრესიდან და დაავადებებისაგან დაცვის გაუარესებით, მათ შორის იმუნოსეპტორებისა;

გ. ცხოველებში პატეგენების გამოვლენა, რამაც შესაძლებელია მოიცავს სატრანსპორტო საშუალება, მოსახურებელი ტერიტორია, ბაზარი და ა.შ.

### 4. გასუფთავება და დეზინფექცია

ა. ცხოველთა მოსავლელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, ყუთები, კონტაქტურები და სხვა. უნდა გასუფთავდეს ხელახალ გამოყენებამდე, ფეხალური მასების ფიზიკური გატანით და სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტაქტურების გამტმენდი საშუალებებით დასუფთავებით. დაავადების გავრცელების საშიშროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი დეზინფექცია.

ბ. ოუ ფეხალური მასები, ნაგავი, დასაწოლი საშუალება ან მოგზაურობის დროს გარდაცვლილი ცხოველის სხეული დაავადების გავრცელების საშიშროებას ქმნის, მაშინ უნდა ვიმოქმედოთ ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი წესებით.

გ. იმ ადგილებში სადაც ცხოველები იქნებიან გადმოტვირთული კერძოდ, მეცხოველეობის მარკეტი, სასაკლაოები, მოსასვენებელი სადგომები, რკინიგზის სადგური და სხვა ცხოველები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი ადგილებით, გაწმენდილი და დეზინფექცირებული სატრანსპორტო საშუალებებით.

დ. დეზინფექცირების აუცილებლობის შემთხვევაში, ცხოველები დაცული უნდა იყოს სტრესისგან.

### სტატია 3.7.3.10.

#### ქმედებები მოგზაურობის დასრულების აკრძალვის შემთხვევეში

1. მოგზაურობის დასრულების აკრძალვისას პირველ რიგში განიხილება ცხოველთა კეთილდღეობის საკითხი.

2. ცხოველების იმპორტის აკრძალვისას ქვეყნის კომპუტერულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საიზოლაციო საშუალებები, ცხოველების სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოსატვირთად და ამ ქმედებების უსაფრთხოდ გასატარებლად, ისე რომ რისკის ქვეშ არ დააყენოს ადგილობრივ ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხი. ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტული უნდა იყოს შემდეგი:

ა. იმპორტიორი ქვეყნის კომპუტერულმა ორგანომ, უსწრაფეს დროში, წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს აკრძალვის მიზეზი.

ბ. როდესაც აკრძალვის მიზეზს წარმოადგენს ცხოველთა ჯანმრთელობა, მაშინ იმპორტიორი ქვეყნის კომპუტერულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ცხოველებთან ვეტერინარის გადაუდებელი შესვლა, შესაძლებელია იგი იყოს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ვეტერინარი, დანიშნული გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც შეაფასებს ცხოველთა ჯანმრთელობის სტატუსს იმპორტიორი ქვეყნის შეხედულებიდან გამომდინარე, გაატარებს აუცილებელ ღონიძიებებს და დააჩქარებს საჭირო დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს.

გ. იმპორტიორი ქვეყნის კომპუტერულმა ორგანომ უნდა განაგრძოს ჯანმრთელობისა და ცხოველთა კეთილდღეობის სხვა ასპექტების შეფასება.

დ. თუ საკითხები არ იქნება დროულად გადაწყვეტილი, მაშინ ქადაგიორი და იმპორტიორი ქვეყნების კომპუტერულმა ორგანოებამ შეამავლობა უნდა მოსთხოვოს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (OIE).

3. თუ კომპეტენტური ორგანო მოითხოვს ცხოველების დატოვებას სატრანსპორტო საშუალებებში, მაშინ პრიორიტეტული უნდა იყოს შემდეგი:

ა. საჭიროების შემთხვევაში, კომპუტერულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო სასუალებებში საკვებისა და წყლის ხელახალი მიწოდება;

ბ. კომპუტერულმა ორგანომ უსწრაფეს დროში, წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს აკრძალვის მიზეზი.

გ. როდესაც აკრძალვის მიზეზს წარმოადგენს ცხოველთა ჯანმრთელობა, მაშინ კომპუტერულმა ორგანომ უნდა

უზრუნველყოს ცხოველებთან დამოუკიდებელი ვეტერინარის გადაუდებელი შესვლა, რომელიც შეაფასებს ცხოველთა ჯანმრთელობის სტატუსს, გაატარებს აუცილებელ ღონიძიებებს და დააჩქარებს საჭირო დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს.

დ. კომპეტენტურა ორგანომ უნდა განაგრძოს ჯანმრთელობისა და ცხოველთა კეთილდღეობის სხვა ასპექტების შეფასება, ასევე ცხოველებთან დაკავშირებით წარმოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

4. ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის სხვა ნებიმიერი პროცედური საკითხების მისაგვარებლად და ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებისათვის ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (OIE) უნდა გამოიყენოს დავის დარეგულირების მექანიზმი.

### სტატია 3.7.3.11.

#### ჯიშთა სპეციფიური საკითხები

(მომავალში დამუშავდება)